

ჰიდრონიმი „ბერდუჯი“
HYDRONYM “BERDUJI”

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰიდრონიმი, ისტორიული წყაროები,
ლინგვისტური კონტაქტები, ჰიდრონიმი, სუფიქსი
Keywords: Hydronym, Historical Sources, Languages in Contact, Hydronym,
Suffix

მოხსენებაში მოცემულია ჰიდრონიმ „ბერდუჯის“ (იგივე საგიმი, იგივე დებედა, იგივე ძეგამჩაი) ისტორიული და ლინგვისტური ანალიზი. მდინარე ბერდუჯი ისტორიულად სასაზღვრო ზოლში იყო მოქცეული; ეს მდინარე იყო ქართლის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთ-არანთან.

მდინარე ბერდუჯი კვეთს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), სადაც საზღვრები დროდადრო იცვლებოდა და, შესაბამისად, იცვლებოდა ამ მდინარის სახელწოდებაც. ჰიდრონიმი ბერდუჯი დადასტურებულია ქართულ ისტორიულ წყაროებში; ჰიდრონიმ ბერდუჯის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები შევისწავლეთ ყველა რედაქციის გათვალისწინებით (მ (მაჩაბლისეული), T (თეიმურაზისეული), B (ბროსესეული), R (რუმინაცევისეული - ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით); ნუსხებში ჟამთააღმწერელის ცნობით დასტურდება, რომ არსებობს განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტები (შერდაოჯისი/შერდაოჯი, ბერდუჯისი, ბერდაუჯი, ბერდაჯა), მაგრამ, ვფიქრობ, ამოსავალი უნდა იყოს ფორმა „ბერდუჯი“. ვახუშტი ბატონიშვილი მდინარე ბერდუჯის სახელს უკავშირებს დაბას - ბერდ-იკ-ი. ცხადია, უნდა გამოიყოს ბერდ-ძირი და -უჯ სუფიქსი (ქართულში იშვიათად გამოყენებული სუფიქსი -უჯ (დურ-უჯ-ი, არტან-უჯ-ი)

(შდრ. სომხ. **Բերդիქ** - „ბერდიკი“ - პატარა ციხე სომხურად). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი მოიხსენიებს **Բերդաჰოჯ/ბერდაოჯის**“ ფორმით.

მოხსენებაში განხილულია ყველა დადასტურებული ფორმა და ვარიანტი, შედარებულია სომხურ ლექსიკურ ერთეულთან ბერდ-; შედარებულია ანალოგიური აგებულების არტან-უჯ- ფორმასთან და გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ -უჯ სუფიქსი საანალიზო ჰიდრონიმში ბერდ-უჯ-ი ქართული სუფიქსია, რომელმაც ინტენსიური ენობრივი კონტაქტების შედეგად გავრცელება პოვა სომხურშიც.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1953), „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, თბილისი

- მალრაძე, ვ. (2004), ქართველური ჰიდრონიმები, თბ., «ქართული ენა».

The paper provides a historical and linguistic analysis of Hydro-nium **Berduji** (also known as **Sagimi**, **Debeda**, and **Dzegamchai**). The Berduji River was historically bounded by the border; This river was the south-eastern border of Kartli, then United Georgia’s border with Albania-Aran.

The Berduji River crosses all three countries of the South Caucasus (Armenia, Georgia, Azerbaijan), where the borders changed from time to time and, consequently, the name of this river changed. Hydronym Berduji is confirmed in Georgian historical sources; Studying the data of “Kartlis Tskhovreba” about Berduji in all editions (M (Machabeli), T (Teimurazi), B (Brose), R (Rumiantsev - edited by S. Kaukhchishvili)) suggest that all forms exist (**Sherdaoji**, **Berdujis**, **Berduaji**, **Berdaji**), but, I believe, the initial form should be “Berduji”. Vakhushti Batonishvili connects the name of the river Berduji with the village - **Berd-ik**. In Georgian the suffix **-uj** is rarely used (**Dur-uj-i**, **Artan-uj-i**).

(Cf. Armenian **Բերդիկ** - Berdik - “Berdik” - a small fortress). The old Armenian translation of “Kartlis Tskhovreba” (published by Il. Abuladze - 1953) refers to **Բերդահոյ** - **Berdahoj** - “**Berdahoj / Berdaoji**”.

The report discusses all the confirmed forms and variants, compares them with the Armenian lexical unit **Berd-**; It is compared with the **Artan-uj-i** form of a similar structure and the opinion is expressed that the **-uj** suffix in the analytical hydronym **Berd-uj-i** is the Georgian suffix, which spread into Armenian as a result of intensive linguistic contacts.

References:

- Abuladze, I. (1953). “Qartlis cxovrebis” zveli somxuri targmani. [Old Armenian translation of “Qartlis Tskhovreba”],Tbilisi.
- Magradze, V.(2004), Qartveluri hidronimebi. [Kartvelian hydronyms], Tbilisi, “Georgian language”.

როცა მეფეები ჰაფეზს ციტირებენ:
XV-XVI საუკუნეების რამდენიმე იშვიათი სამეფო
ბეჭდის შესახებ სპარსული
პოეტური წარწერებით
WHEN KINGS QUOTE HAFEZ: ON SOME RARE ROYAL
SEALS OF THE FIFTEENTH AND SIXTEENTH CENTURIES
WITH PERSIAN POETICAL INSCRIPTIONS

გრიგოლ ბერაძე
Grigol Beradze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

საკვანძო სიტყვები: ჰაფეზ შირაზი; ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობები; სპარსული წარწერები.

Keywords: Hafez Shirazi; Iran-Georgia Cultural Relations; Persian Inscriptions